



სააქციო საზოგადოება თელასი



წლიური ანგარიში 2014

სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:

სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ
“22 ” მაისს 2015 წ.
2015 წლის 22 მაისის ოქმი

წინასწარ დამტკიცებულია:

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
ოქმი №135 “ 21 ” აპრილი 2015 წ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავამჯდომარე
_____ დ.ე. ვოლკოვი

წლიური ანგარიში 2014 წლის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი

ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი

ა.ლ. ბალჩუგოვი

2015



I. ძირითადი მოვლენები	3
II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა.....	5
III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ.....	7
IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები	8
V. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ..	10
VI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა.	11
ფინანსური მაჩვენებლები.....	11
აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი.....	13
საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	15
ელექტრული ქსელების დახასიათება.....	17
ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები.....	18
ტექნიკური ზედამხედველობა.....	18
სს „თელასის“ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2013 - 2014 წწ.	19
საქმიანობა რემონტების განხრით.....	20
ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგები.....	20
VII. საინვესტიციო საქმიანობა	21
VIII. საქმიანობა შესყიდვების დარგში.....	23
IX. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა.....	24
X. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ	26
XI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა.....	27
XII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა.....	28
XIII. საზოგადოების გენერალური დირექტორი.....	29
XIV. 2014 წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების განსაზღვრის და ოდენობის კრიტერიუმები.....	30
XV. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება	30
XVI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	31
XVII. გარემოს დაცვა.....	34
XVIII. ცნობები გარიგებების შესახებ, რომელთა დადებაში არსებობს დაინტერესება, და მსხვილი გარიგებების შესახებ, რომლებიც საზოგადოებამ დადო საანგარიშო წელში....	35
XIX. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ	35
XX. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისათვის	36
XXI. ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2014 წელს	37



I. ძირითადი მოვლენები

01 იანვარი	მოდიფიცირებული და დამუშავებული იქნა ახალ აბონენტთა მიერთების მოდული.
21 მარტი	სს „თელასმა“ გახსნა ახალი თანამედროვე სტანდარტების ბიზნეს-ცენტრი „მთაწმინდა-კრწანისი“.
09 ივნისი	ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება, რომელზეც: - დამტკიცდა წლიური ანგარიში, წლიური ფინანსური ანგარიში, საზოგადოების მოგების განაწილება 2013 წლის შედეგების მიხედვით; - მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2013 წლის შედეგების შესაბამისად საზოგადოების აქციების მიხედვით არ იქნას გადახდილი დივიდენდები, ზარალთა დაკავშირებით 37 883 000 ლარის ოდენობით; - სს „თელასის“ 2014 წლის აუდიტის განმახორციელებელი ორგანიზაციის სახით დამტკიცდა კომპანია EY Georgia LLC; - არჩეული იქნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა.
29 აგვისტო	სს „თელასმა“ გახსნა ახალი თანამედროვე სტანდარტების ბიზნეს-ცენტრი „ვერა-ვაკე“.
სექტემბერი	ახალი ძალოვანი ტრანსფორმატორის ТРДНС-32000/35-Y1 მონტაჟი ქს-სათვის „საბურთალო 1“.
სექტემბერი	ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტის 0001 სრული რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია.
1 ოქტომბერი	დასრულდა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა ISO 14001:2004 შესაბამისად, მომზადდა პირობები გარე აუდიტის ჩასატარებლად და სერტიფიკატის მისაღებად.
31 ოქტომბერი	მიღებული იქნა 2014-2015 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადყოფნის პასპორტი.
5 დეკემბერი	სს „თელასმა“ გახსნა ახალი თანამედროვე სტანდარტების ბიზნეს-ცენტრი „სამგორი“.
დეკემბერი	დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის 10 კვ მშენებლობა



	ქვესადგურში „გლდანი-220“.
დეკემბერი	სს „თელასში“ „SAP-ERP“ პროგრამული კომპლექსის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და რემონტის“ მოდულის დანერგვის პროექტის რეალიზაციის დაწყება.



II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა

ძვირფასო აქციონერებო,

წარმოგიდგენთ სს „თელასის“ 2014 წლის წლიურ ანგარიშს და გვსურს ავლნიშნოთ, რომ საზოგადოების კოლექტივმა და მენეჯმენტმა შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანები შემოსავლების ზრდასა და მუშაობის ეფექტურობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

სააქციო საზოგადოება „თელასი“ - საქართველოს უმსხვილესი გამანაწილებელი კომპანიაა, რომლის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და რეალიზაცია, ქსელური მომსახურების გაწევა. კომპანია ელექტროენერჯის შესყიდვას ახორციელებს საქართველოს გენერირების კომპანიებისაგან და მის რეალიზაციას ახდენს ქ. თბილისის 490 ათას კერძო და კომერციულ მომხმარებელზე.

2014 წელს საზოგადოებისათვის პრიორიტეტულად რჩებოდა საზოგადოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებასთან, ენერგოეფექტურობის საქმიანობის შემდგომ რეფორმირებასთან და ძირითადი ბიზნეს-პროცესების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე მთლიანად საზოგადოების რეფორმირებასთან, მის ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოების განვითარების, მომგებიანობის სტაბილურობისა და მისი საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებაზე, საზოგადოების აქციონერთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე საზოგადოების საქმიანობის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ხორციელდებოდა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ობიექტების საიმედოობის ამაღლებაზე. შესრულდა საჰაერო ხაზების სხ-0,4კვ რეკონსტრუქციის სამუშაოები. დამონტაჟდა 5კმ იზოლირებული საჰაერო ხაზები, აბონენტების ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გატანილი იქნა მრიცხველები, 2300 აბონენტისათვის ახალი იზოლირებული შემყვანების მოწყობით. საჰაერო ხაზების სხ-0,4კვ რეკონსტრუქციის პროექტით განხორციელდა მეზობელ სატრანსფორმატორო ქვესადგურებს (სქ) შორის დატვირთვების ოპტიმალური გადანაწილება, ფაზების მიხედვით დატვირთვების თანაბარი განაწილება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა 2014-2015 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდის მიმდინარეობას. შედეგად კომპანიამ სრულად და დროულად განახორციელა შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადების ღონისძიებები.

მართვის სისტემის ოპტიმიზაციის სამუშაოების პროცესში გადაიჭრა ახალი პროცედურების შემუშავებასთან დაკავშირებული ამოცანები, თითოეული ბიზნეს-პროცესის დეტალური ანალიზის საშუალებით, განხორციელდა ელექტროენერჯის რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების რიგი ბიზნეს-პროცესების კორექტირება, მათ შორის, ტერიტორიული ბიზნეს-ცენტრების საქმიანობის, მომხმარებელთა მომსახურების ოპტიმიზაცია. ჩატარდა პერსონალის რიცხოვნობის ოპტიმიზაციის სამუშაოები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე.



ენერგოგასაღების საქმიანობის ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციასთან, აგრეთვე მომხმარებელთა მომსახურების დონის ამაღლებასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების გათვალისწინებით აბონენტთა მომსახურების ცენტრების საერთო რაოდენობა შემცირდა 10 ბიზნეს-ცენტრამდე და ორ ფილიალამდე ქალაქის გარეუბნებში.

2015 წელს კომპანიას მოუწევს გააძლიეროს მუშაობა დებიტორულ დავალიანებაზე, გააფართოვოს გასაწევი კომერციული მომსახურების ჩამონათვალი, გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების და მომხმარებელთა მომსახურების სახეობების დასანერგად.

ვიმედოვნებთ, რომ სს „თელასის“ მენეჯერების გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს ე. თბილისის ბაზარზე საზოგადოების პოზიციების შენარჩუნებასა და გამტკიცებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

**სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
დიმიტრი ვოლკოვი**

**სს „თელასის“ გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი**



III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ

2014 წელს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შედეგების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 18 სხდომა, რომელზეც განიხილეს 56 საკითხი, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგი იყო:

1. გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებული საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან;
2. გადაწყვეტილებები, რომლებმაც განსაზღვრა საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა (საზოგადოების 2014 წლის ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო პროგრამის და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება).

სამეთვალყურეო საბჭო ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქციონერთა უფლებების უზრუნველყოფაში, საზოგადოების განვითარების ფორმირებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე მისი წარმატებული ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფაში.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, ხორციელდებოდა გადაწყვეტილებების შესრულების რეგულარული კონტროლი. საანგარიშო წელს შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ არის.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მუშაობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წევრი თავის უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულებისას მოქმედებდა საზოგადოების ინტერესების დაცვით, აქტიურად იღებდა მონაწილეობას ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, აგრეთვე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას მომსახურების გასაღების ძირითად ბაზრებზე.



IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

სს „თელასი“ ქ. თბილისში უმსხვილესი ელექტროქსელური კომპანია და გასაღების ორგანიზაციაა. სს „თელასი“ ელექტროენერჯის (სიმძლავრის) შექმნას ახორციელებს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ბაზრებზე, ქ. თბილისის და მიმდებარე სოფლების მომხმარებელთა მომსახურების მიზნით. საქმიანობის ძირითადი სახეობებია: ელექტროენერჯის შესყიდვა და გაყიდვა; ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია; ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურება; აბონენტთა ტექნიკური მომსახურება; ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება. მომხმარებელთა მომსახურება და ელექტრული ქსელების ექსპლუატაცია ხორციელდება აბონენტთა მომსახურების 10 ცენტრში და 10 საექსპლუატაციო უბანში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში.

2014 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციები შეფასება შესაძლებელია, როგორც ზომიერად ოპტიმისტური, რაც დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო წლის განმავლობაში და მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა დარგზე:

- ქვეყანაში ელექტროენერჯის საერთო მოხმარების ზრდა;
- ინფლაციის პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;
- თურქეთის მიმართულებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა და თურქეთის ელექტროენერჯის ბაზარზე არასტაბილური ფასები;
- ქვეყანაში ენერგეტიკულ სექტორზე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ზეწოლა.

საზოგადოების განვითარების ტენდენცია გაცილებით უკეთ გამოიყურება საერთო დარგობრივ ტენდენციებთან შედარებით.

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც უახლოეს წლებში შეიძლება ნეგატიურად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპზე, შეიძლება იყოს შემდეგი:

- ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის მორიგი გამწვავების დაწყება;
- ადგილობრივი ვალუტის არასტაბილური კურსი სარეზერვო ვალუტებთან მიმართებით;
- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა;
- საქმიანობის მარეგულირებელ დარგში საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ხშირი ცვლილებები.

ძირითად ფაქტორებად, რომლებიც ზეგავლენას ახდენს, ზოგადად, როგორც მდგომარეობაზე დარგში, ისე საზოგადოების საქმიანობაზე, შეიძლება მიჩნეულ იქნას:

- სახელმწიფოს როლის გაძლიერება ელექტროენერჯის ბაზრის რეგულირებაში;
- ამჟამად, საქართველოს კანონმდებლობაში არასაკმარისად ნათლად არის გაწერილი იმ მიწაზე საკუთრების უფლებების საკითხები, რომლებიც განთავსებულია ელექტროენერჯის გადამცემი მოწყობილობები. საკანონმდებლო



ნორმების დაზუსტების შემთხვევაში, მომავალში არსებობს ალბათობა იმისა, რომ კომპანიას მოუწევს მიწის რიგ ნაკვეთებზე საკუთრების უფლებების შექმნა ან მესამე მხარისათვის ამ მიწის ნაკვეთების იჯარის გადახდა.

საზოგადოების ძირითადი ამოცანაა ზარალის გარეშე საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და სტაბილური ფულადი ნაკადების მიღება. დარგში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სს „თელასი“ იღებს შემდეგ ზომებს:

- ელექტროენერჯის ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, წარმატებული საქმიანობის ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
- იმ სერვისული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება, რომლებიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- ინფორმაციული გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

ღონისძიებათა მოცემული კომპლექსის რეალიზაცია სს „თელასს“ შესაძლებლობას მისცემს ელექტროენერჯის გასაღების ბაზარზე შეინარჩუნოს ლიდერის მდგომარეობა და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

ძირითადი სავარაუდო ფაქტორები, რომლებიც უახლოეს წლებში შეიძლება ნეგატიურად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპზე, შემდეგია:

- მომგებიანობის შემცირება;
- მომხმარებელთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესება და, შედეგად, გადახდისუნარიანობის გაუარესება.

აღნიშნული ნეგატიური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში რისკების შემცირების ზომების სახით, სს „თელასის“ მართვის ორგანოები აპირებენ შემდეგი ზომების გამოყენებას:

- საკუთარი საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;
- კლიენტების გადახდისუნარიანობაზე დაკვირვებისათვის გეგმაზომიერი მუშაობა;
- ენერგოდამზოგი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის გათვალისწინებით.

დარგში საზოგადოების მდგომარეობაზე ზეგავლენას ახდენს ასევე კონკურენტული გარემოს განვითარება. სს „თელასის“ ძირითადი კონკურენტი ქ. თბილისის ტერიტორიაზე არის ქართულ-ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ („EnergoPro“, ჩეხეთი, შვილობილი კომპანია).

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გასაღების (პროდუქციის, მომსახურების) ბაზარზე სს „თელასის“ კონკურენტუნარიანობაზე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- მომხმარებელთა მომსახურების ტერიტორიული, ორგანიზაციული და საინფორმაციო ხელმისაწვდომობის მაღალი დონე;



- კომპანიის იმიჯი და მისი ავტორიტეტი ელექტროენერჯის ბაზარზე;
- ელექტრული ენერჯის მოხმარების აღრიცხვის მაღალორგანიზებული და გამჭვირვალე სტრუქტურა.

მომავალში თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საზოგადოებას დაგეგმილი აქვს შემდეგი მოქმედებები:

- მსხვილ კომპანიებთან მუშაობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთმოქმედებულ ფორმების სრულყოფა;
- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის სრულყოფა;
- ენერგო-ქსელური მომსახურების ჩამონათვალის გაფართოვება.

V. ონფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2014 წელს სს „თელასმა“ გამოიყენა ენერგეტიკული რესურსების შემდეგი სახეობები:

№№	დასახელება	განზ. ერთეული	რ-ზა	ღირებულება (ათასი ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერჯია, სულ მათ შორის:	ათასი კვტსთ	2 441 129	275 841
1.1	- გასაყიდად	ათასი კვტსთ	2 114 503	268 187
1.2	- სატრანზიტოდ	ათასი კვტსთ	326 626	7 654
2	ავტომობილების ბენზინი	ათასი ლიტრი	(268,30)	(473,33)
2.1	ბენზინი „სუპერი“ (100006263)	ათასი ლიტ	(6,09)	(10,73)
2.2	ბენზინი „პრემიუმ-ავანგარდი“ (100006264)	ათასი ლიტ	(262,21)	(462,60)
3	დიზელის საწვავი „ევრო“ (100006265)	ათასი ლიტ	(296,85)	(527,84)
4	სატრანსფორმატორო ზეთი BF (100003063)	ტ.	(79,30)	(179,56)
5	სატრანსფორმატორო ზეთი (100005461)	ტ.	(128,84)	(2,74)
6	სატრანსფორმატორო ზეთი NYTRO 11GX-(100008676)	ტ.	(50,80)	(272,58)
	სულ	ათასი ლიტრი	(565,15)	(1 001,17)
		ტ.	(258,93)	(454,89)



**VI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
საწარმოო საქმიანობა.**

საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

2014 წლის განმავლობაში საზოგადოების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შემდეგნაირად შეიძლება:

ათასი ლარი

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2013 წელი	2014 წელი	% ცვლილებები
ამონაგები	250 570	275 841	10
სხვა შემოსავლები	11 183	11 923	7
შესყიდული ელექტროენერგია	(126 959)	(173 054)	36
ხელფასი და მუშაკების სხვა ანაზღაურება	(51 579)	(56 120)	9
ცვეთა და ამორტიზაცია	(9 542)	(8 223)	(14)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1 541)	(1 430)	(7)
ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო	5 795	3 021	(48)
ზარალი გაუფასურებისგან	(64 270)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(47 216)	(16 150)	(66)
საოპერაციო მოგება (ზარალი)	(33 559)	35 808	(207)
ფინანსური შემოსავლები	3 194	1 905	(40)
ფინანსური ხარჯები	(1 781)	(1 570)	(12)
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(1 633)	(3 431)	110
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(33 779)	32 712	(197)
ხარჯები მოგების გადასახადზე	(4 104)	(4 728)	15
მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში	(37 883)	27 984	(174)
სხვა მთლიანი მოგება, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მოგების ან ზარალის შემადგენლობაში შემდგომ პერიოდებში	-		
აქტუარული ზარალი ფიქსირებული გადახდების მქონე საპენსიო პროგრამის შესაბამისად		(86)	-
გადასახადის ზეგავლენა მოგებაზე		13	-
სხვა მთლიანი მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში, გადასახადების გამოქვითვით		(73)	-
სულ, მთლიანი მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში	(37 883)	27 911	(174)
აქციაზე საბაზისო და გაზავებული მოგება (ზარალი)	(0.00034)	0.00025	(173)

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სახეობაა ელექტროენერგიის შესყიდვა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მომხმარებლებზე განაწილება ქ. თბილისში (საქართველო). კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო



სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2014 წელს ამონაგებმა ელექტროენერჯის რეალიზაციიდან და ქსელური მომსახურებიდან შეადგინა 275 841 ათასი ლარი, რაც 25 271 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2013 წელს.

ამონაგების ზრდა 2014 წელს გამოწვეული იყო შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

1. კომუნალურ-საცოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების მოცულობა გაიზარდა 10 212 ათასი ლარით.
2. კომერციულ ორგანიზაციებსა და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების მოხულობა გაიზარდა 15 299 ათასი ლარით.
3. სახელმწიფო სექტორზე ელექტროენერჯის გაყიდვების მოცულობა შემცირდა 174 ათასი ლარით.
4. ელექტროენერჯის ტრანზიტი შემცირდა 414 ათასი ლარით.

ელექტროენერჯის შესყიდვისა და განაწილების გარდა საზოგადოება უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას. ამონაგები ელექტროენერჯის ტრანზიტიდან წარმოადგენს მოსაკრებლებს, რომლებსაც კომპანია იღებს იმ ელექტროენერჯის გადაცემისათვის, რომელსაც მომხმარებლები შეისყიდებიან უშუალოდ მიმწოდებლებთან კომპანიის ქსელის გავლით. 2014 და 2013 წლებში ტრანზიტის ტარიფმა, რომელსაც კომპანიისათვის ამტკიცებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია, შეადგინა 0,0241 ლარი/მგტ*სთ.

საოპერაციო მოგება 2014 წელს 69 367 ათასი ლარით მეტი იყო, ვიდრე 2013 წელს. მოგება დაბეგვრამდე 2014 წელს იყო 66 491 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2013 წელს. მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 27 911 ათასი ლარი, რაც 65 794 ათასი ლარით მეტი იყო, ვიდრე 2013 წელს.

2014 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 27 984 ათასი ლარი, გეგმიურ წმინდა მოგებასთან 9 673 ათას ლართან შედარებით.

მაჩვენებლები	ათასი ლარი		
	2013 წელი	2014 წელი	% ცვლილებები
აქტივები			
არასაბრუნავი აქტივები	139 751	163 611	17
საბრუნავი აქტივები	88 863	101 193	14
სულ აქტივები	228 614	264 804	16
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	86 669	114 580	32
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტული კრედიტები, სესხები და თამასუქები	33 057	29 536	(11)
გავადებული საგადასახადო ვალდებულებები	672	4 219	528
ანაზღაურება შრომითი საქმიანობის დასრულებასთან დაკავშირებით	-	1 120	-
სახელმწიფო სუბსიდიები	2 328	1 932	(17)
მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები	84	113	35
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	36 141	36 920	2
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტული კრედიტები, სესხები და თამასუქები	5 801	6 178	6



სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	74 140	81 757	10
მიღებული ავანსები	10 680	7 498	(30)
დავალიანება სხვა გადასახადების მიხედვით	12 423	12 731	2
სახელმწიფო სუბსიდიები	423	429	1
დავალიანება მოგების მიმდინარე გადასახადზე	832	-	-
ანაზღაურება შრომითი საქმიანობის დასრულებასთან დაკავშირებით	-	53	-
რეზერვები	1 505	4 658	210
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	105 804	113 304	7
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	228 614	264 804	16

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 23 860 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად.

საზოგადოების საბრუნავი აქტივები გაიზარდა, ძირითადად, შემდეგი ფაქტორების შედეგად:

1. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდა 7 124 ათასი ლარის ოდენობით.
2. მოგების მიმდინარე გადასახადზე წინსწრებით გადახდის ზრდა 8 307 ათასი ლარის ოდენობით.
3. შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრების ზრდა 1 178 ათასი ლარის ოდენობით.
4. ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირება 3891 ათასი ლარის ოდენობით.

ვალდებულება კრედიტორული დავალიანების მიხედვით გაიზარდა, ძირითადად, დაკავშირებული კომპანიების კრედიტორული დავალიანების ზრდის შედეგად, კერძოდ, შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ მიმართ დავალიანების ზრდით 642 ათასი ლარით, სს „ხრამჭესი-1“-ის მიმართ - 2 249 ათასი ლარით და სს „ხრამჭესი-2“-ის მიმართ - 2 760 ათასი ლარით.

საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2014 წლის ბოლოსთვის სს „თელასის“ მთლიანი აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 264 804 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში აქტივების სიდიდე საანგარიშო წლის განმავლობაში გაიზარდა 36 190 ათასი ლარით. 2014 წლის ბოლოსთვის არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 23 860 ათასი ლარით და შეადგინა 163 611 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 12 330 ათასი ლარით და შეადგინა 101 193 ათასი ლარი.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2013	31.12.2014
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.40	0.35
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.69	0.80
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.78	0.89



2014 წლის შედეგების მიხედვით აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეიცვალა 0,40-დან 0,35-მდე. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების შესაძლებლობა დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები არსებითად არ შეცვლილა და დარჩა იგივე დონეზე.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგენდა 0,80. ზემოთ რეკომენდებული დიაპაზონის აღნიშნული მნიშვნელობა დაკავშირებულია საწარმოს აქტივების ლიკვიდურობის ზრდის ტემპის გადაჭარბებასთან მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპებზე.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0,84-დან 0,89-მდე. მოცემული მაჩვენებელი ხასიათდება საწარმოს ანგარიშსწორების უნარის ზრდით თავისი მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2013	31.12.2014
გაყიდვების რენტაბელობა	22.5%	12.2%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	-43.7%	24.4%
მთლიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	-16.6%	10.5%

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია გაყიდვებიდან საზოგადოების მოგების მაჩვენებლების შემცირებასთან. საკუთარი კაპიტალის და მთლიანი აქტივების რენტაბელობის უარყოფითი მნიშვნელობები დაკავშირებულია 2013 წელს საზოგადოების წმინდა მოგების უარყოფით მნიშვნელობასთან 37883 ათასი ლარის ოდენობით, რაც, უმთავრესად, განპირობებულია საზოგადოების ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურებით. 2014 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 27 984 ათასი ლარი 2013 წლის ზარალთან 37 883 ათასი ლარი შედარებით.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2013	31.12.2014
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.38	0.43
საკუთარი და სასესხო სახსრების ფარდობა	1.64	1.31

2014 წლის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტაში (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა 0,38-დან 0,43-მდე.

საზოგადოების საკუთარი და სასესხო კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა 1,31 (სასესხო კაპიტალის ერთ ლარზე მოდის საკუთარი კაპიტალის ერთი ლარი და 31 თეთრი), მაგრამ აღნიშნულ მნიშვნელობას საკმარისი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოების მდგრადობაზე სასაუბროდ.

მაჩვენებლები განგარიშებულია სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ნაერთი ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების 2014 წლის ბუღალტრული ანგარიშგება დამოწმებულია საზოგადოების აუდიტორის EY Georgia LLC მიერ (საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული დასკვნა თან ერთვის).

2013 წლის 31 მარტს ხელი მოეწერა მემორანდუმს „ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების და ადრე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და ლსს „ინტერ რაო“-ს შორის.

მემორანდუმის თანახმად, საზოგადოება ვალდებულია ყოველწლიურად საქართველოს მთავრობას მიაწოდოს საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებული და დამოწმებულია დიდ ოთხეულში შემავალი საერთაშორისო აუდიტორის მიერ. მემორანდუმის აღნიშნული მოთხოვნის რეალიზაციისათვის, საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ «Deloitte & Touche» განახორციელა საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშება წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს. გაანგარიშება დამტკიცებულია საერთაშორისო კომპანიის - «EY Georgia LLC» - მიერ 2014 წლის 25 სექტემბერს. მიზნობრივი საინვესტიციო მაჩვენებლის (მსმ) ჯამურმა მაჩვენებლმა შეადგინა 20 595 ათასი ლარი, რაც 4 958 ათასი ლარით მეტია მემორანდუმის გეგმიურ მაჩვენებელთან.

დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობების გაანგარიშების შედეგების მიხედვით 2017-დან 2025 წწ.-მდე პერიოდში ხორციელდება მსმ-ს განაწილება საზოგადოებას და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის.

საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები

საზოგადოების 2014 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

საწარმოო მაჩვენებლები	2013 წელი	2014 წელი	% ცვლილებები
:			
ნაყიდი ელექტროენერგია, მლნ კვტ*სთ	2 104	2 300	9
- დანაკარგები გადაცემისას, მლნ კვტ*სთ	41	48	17
მიღებულია (გაშვებული) ქსელში, მლნ კვტ*სთ	2 063	2 252	9
- ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ კვტ*სთ	155	137	(12)
ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება, მლნ კვტ*სთ	1 907	2 115	11

2014 წელს ელექტროენერგიის გაყიდვების საერთო მოცულობამ შეადგინა 268 187 ათასი ლარი, რაც 39 771 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2014 წლისთვის საზოგადოების ბიზნეს-გეგმით იყო გათვალისწინებული.



(ათასი ლარი)

№.№	დასახელება	2013 წელი	2014 წელი			
			გეგმა	ფაქტი	გადახრა	
					(+/-)	%
1	2	3	4	5	6	7
1	რეალიზაცია მოსახლეობისთვის და მათთან გათანაბრებული მომხმარებლებისათვის შიდა ბაზარზე	108 055	102 164	118 068	15904	15.6
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებისათვის შიდა ბაზარზე	17 707	16 617	17 881	1 264	7.6
3	რეალიზაცია კომერციული მომხმარებლებისათვის შიდა ბაზარზე	112 680	105 999	127 979	21 980	20.7
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	4 060	3 636	4 260	624	17.1
	სულ გაყიდვები	242 502	228 416	268 187	39771	17.4

2014 წელს გაყიდვების მოცულობის ზრდა 39 771 ათასი ლარით განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

მოსახლეობაზე ელექტროენერჯის გაყიდვებიდან ფაქტობრივი ამონაგები გაიზარდა 15 904 ათასი ლარით გეგმიურთან შედარებით, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის 105.35 მლნ კვტ*სთ-ით გაზრდის შედეგად.

საბიუჯეტო სექტორზე გაყიდვებიდან ამონაგების ზრდა განპირობებულია, ერთის მხრივ, გაყიდვების ზრდით 5.84 მლნ კვტ*სთ-ით, ხოლო მეორეს მხრივ, ელექტროენერჯიაზე საშუალო ტარიფის ზრდით.

კომერციულ სექტორზე გაყიდვებიდან ფაქტობრივი ამონაგები გაიზარდა 21 980 ათასი ლარით გეგმიურთან შედარებით, 171.49 მლნ კვტსთ-ით მეტის გაყიდვის შედეგად. მეოთხე კვარტალში დადებული იქნა ხელშეკრულებები ორ მსხვილ სატრანზიტო მომხმარებლებთან: შპს „თბილგანათება“ და შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“.

შემოსავლები ნაწილში „სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე“ გაიზარდა 624 ათასი ლარით, რაც განპირობებულია გაყიდვების ზრდით 8.70 მლნ კვტ*სთ-ით.


მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის საერთო სასარგებლო გაშვებამ 2014 წელს შეადგინა 2 115 მლნ კვტ*სთ. ქვემოთ მოცემულია ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2013– 2014 წწ.-ში.

(მლნ კვტ*სთ)



№.№	დასახელება	2013 წელი	2014 წელი			
			გეგმა	ფაქტი	გადახრა	
					(+/-)	%
1	2	3	4	5	6	7
1	რეალიზაცია მოსახლეობისთვის და მათთან გათანაბრებული მომხმარებლებისათვის შიდა ბაზარზე	880	851	957	106	12.4
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებისათვის შიდა ბაზარზე	138	133	139	6	4.5
3	რეალიზაცია კომერციული მომხმარებლებისათვის შიდა ბაზარზე	855	811	983	172	21.2
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	35	27	36	9	33.3
სულ გაყიდვები შიდა ბაზარზე		1 907	1 823	2 115	292	16
5	ელექტროენერჯის რეალიზაცია ექსპორტზე	-	-	-		
სულ გაყიდვები		1 907	1 823	2 115	292	16

ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2014 წლის განმავლობაში:



ელექტრული ქსელების დახასიათება

№№	დასახელება	განზ. ერთეული	მაჩვენებლები
1	2	3	4
1	ეგზ-ს საერთო სიგრძე, სულ	კმ	4593.2
	მათ შორის:		
1.1	საჰაერო ეგზ (ჯაჭვების მიხედვით), სულ	კმ	1990.6
	მათგან:		
1.1.1	- ძაბვის დონე 110 კვ	კმ	247
1.1.2	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	85.4
1.1.3	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	127
1.1.4	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	192
1.1.5	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1339.2
1.2	საკაბელო ეგზ, სულ	კმ	2602.6
	მათგან:		
1.2.1	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	41.2
1.2.2	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	286.9
1.2.3	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	1168
1.2.4	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1106.5
2	დამადაბლებელი ქვესადგურები 35 კვ და მეტი		
2.1	ქვესადგურების რაოდენობა, სულ	ცალი	39
	მათ შორის:		
2.1.1	დამადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	ცალი	12
2.1.2	დამადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	ცალი	23
2.1.3	გამანაწილებელი ქვესადგურები 6/10კვ	ცალი	4
2.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1649.3
	მათ შორის:		
2.2.1	დამადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	მვა	326.3
2.2.2	დამადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	მვა	1323
3	სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ		
3.1	ქვესადგურების რაოდენობა	ცალი	1802
3.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1190.9
	მათ შორის:		
3.2.1.	კომპლექტური	ცალი	283
		მვა	175.7
3.2.2.	დახურული	ცალი	1519
		მვა	1015.2

ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები



2014 წელს სს „თელასის“ ელექტრული ქსელების მუშაობაში ადგილი ჰქონდა 4 306 ტექნოლოგიურ დარღვევას, რაც 1.35% ნაკლებია, ვიდრე 2013 წელს (4 365 შემთხვევა). ავარიები აღნიშნულ პერიოდში არ მომხდარა. 2014 წელს ელექტროენერჯის არასაკმარისმა გაშვებამ შეადგინა 1 674.9 ათასი კვტ*სთ, რაც 19.4 % ნაკლებია გასულ წელთან შედარებით. 2014 წელს ეკონომიკურმა ზარალმა ავარიების შედეგად შეადგინა 117.2 ათასი ლარი, რაც 19.4% ნაკლებია, 2013 წელთან შედარებით.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ცნობები ინციდენტების, ავარიების და ტექნოლოგიური დარღვევების შესაბამისად 2013 – 2014 წწ.

№№	მაჩვენებლის დასახელება	2013 წელი	2014 წელი	გადახრა	
				(+/-)	%
1	ინციდენტები	4 365	4 306	(59)	(1.35)
2	ავარიები	-	-	-	-
3	ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვება (ათასი კვტსთ)	2 078	1 674.9	(403.1)	(19.4)
4	ეკონომიკური ზარალი (ათასი ლარი)	145.5	117.2	(28.3)	(19.4)

ტექნიკური ზედამხედველობა

2014 წლის განმავლობაში საზოგადოების ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი ელექტრული ქსელის ძაბვის ყველა კლასის ობიექტებზე, რომელიც მიმართული იყო ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების აღკვეთაზე, მოწყობილობების საექსპლუატაციო საიმედოობის და პერსონალის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებაზე, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებაზე. ელექტროქსელური ობიექტების შემოწმებათა ნაერთი მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

№№	ცნობები შემოწმებების შესახებ	2013 წელი	2014 წელი
1	ობიექტების შემოწმებების საერთო რიცხვი	1 425	3 413
2	მიწერილობების რაოდენობა	344	605
3	ღონისძიებების რაოდენობა მიწერილობებში:	671	2 283
	მათ შორის:		
3.1	შესრულებული	589	2 204
3.2	ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილია	82	79

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების ქვედანაყოფებში მიმდინარეობდა საყოველთაო შემოწმებები პერსონალის მიერ შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის ნაწილში. შემოწმებების შედეგად



ხორციელდებოდა ანალიზი, ტრავმასაშიში სიტუაციების და ფაქტორების გამოვლენა, მათი თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების შემუშავება.


სს „თელასის“ ელექტრულ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2013 – 2014წწ.

ახალ აბონენტთა მიერთების პროექტები საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. პროექტები გულისხმობს ახალი აბონენტებისათვის ქსელის მოწყობას საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის (სემეკი) 13.03.2008წ. N7 დადგენილების თანახმად. ახალი მიერთებების შესაბამისად სამუშაოთა მოცულობა, მასალების რაოდენობა მთლიანად დამოკიდებულია მოთხოვნილ სიმძლავრეზე, რომელიც მითითებულია მომხმარებელთაგან შემოსულ მოთხოვნებში. სემეკ-ის 13.03.2008 წ. N20 დადგენილების საფუძველზე მიერთებაზე განაცხადები უნდა შესრულდეს შეზღუდულ ვადაში (20-დან 90 დღემდე სიმძლავრიდან გამომდინარე). განაცხადის შესრულების ვადის თითოეული დარღვევა იწვევს ჯარიმის დარიცხვას (პაკეტის ღირებულების 50%), რომელიც შეიძლება აღემატებოდეს მიერთების ღირებულებას.

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა ელექტრულ ქსელზე მომხმარებელთა 4 962 ტექნოლოგიური მიერთება, რომლის საერთო ჯამური სიმძლავრე იყო 88.3 ათასი კვტ. მათ შორის, 4 943 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 73.9 ათასი კვტ ძაბვაზე 0,4 კვ (მიერთებათა საერთო სიმძლავრით 83.7%) და 19 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 14.4 ათასი კვტ ძაბვაზე 6/10 კვ (მიერთებების საერთო სიმძლავრით 16.3%).

№№	მიერთების ძაბვა	მიერთებების სრული-ბა ხელშეკრულებებისა და ტპ-ს მიხედვით, ც		მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ	
		2013 წელი	2014 წელი	2013 წელი	2014 წელი
1	6 -10 კვ	30	19	29.2	14.4
2	0,4 კვ	4233	4943	72.8	73.9
	სულ	4263	4962	102	88.3

ტექნოლოგიური მიერთებების დიაგრამა 2013 – 2014წწ.




2014 წელს ახალი აბონენტების მიერთებიდან ფაქტობრივმა შემოსავლებმა შეადგინა 6 523.48 ათასი ლარი, გეგმიურ 5 393.24 ათას ლართან შედარებით. საანგარიშო პერიოდში ქსელზე მიერთებული იქნა 13 376 ახალი აბონენტი (ლტოლვილების აბონირების გარდა). გეგმით გათვალისწინებული იყო 7 472 აბონენტის მიერთება.

საქმიანობა რემონტების განხრით

ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, აგრეთვე მოზიდული კონტრაქტორების საშუალებით.

2014წ. ფაქტობრივმა ხარჯებმა ელექტრული ქსელების რემონტზე შეადგინა 2 527 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 270 ათასი ლარით მეტია. ხარჯების ზრდა 270 ათასი ლარით ძირითადად განპირობებულია ფაქტობრივად განხორციელებული სარემონტო სამუშაოების მოცულობების ზრდით.

რემონტების სტრუქტურა 2014წ.




ელექტროენერჯის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში

2014 წ. წელს საზოგადოების მიერ შესყიდულ იქნა 2 300 მლნკვტ*სთ ელექტროენერჯია. დანაკარგებმა გადაცემის დროს მაღალი ძაბვის ქსელებში შეადგინა 48 მლნკვტ*სთ. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 252 მლნკვტ*სთ. მომხმარებლებისათვის სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 2 115 მლნკვტ*სთ. სს „თელასის“ ქსელში ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 137 მლნკვტ*სთ ანუ 6,09%, რაც 18 მლნკვტ*სთ ნაკლებია, 2013 წელთან შედარებით.



ელექტროენერჯის შესყიდვის, განაწილების და ქსელებში დანაკარგების დიაგრამა



ელექტროენერჯის დანაკარგების შესამცირებლად გრძელდება საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების შესრულება, მათ შორის, ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემის სრულყოფა (აღრიცხვის კვანძების გატანა მომხმარებლის ტერიტორიიდან). საჭაერო ხაზების სხ-0,4 კვ რეკონსტრუქციის პროექტით განხორციელდა დატვირთვების ოპტიმალური გადანაწილება მეზობელ სატრანსფორმატორო ქვესადგურებს შორის, ფაზების მიხედვით დატვირთვების თანაბარი განაწილება.

VII. საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების საინვესტიციო პოლიტიკა აგებულია ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე. საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: კომერციული დანაკარგების შემცირება, ავარიულობის შემცირება, ელექტროქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეების გაფართოება.

2014 წელს საზოგადოების საინვესტიციო დაბანდებებმა (ათვისებამ) შეადგინა 30 814 ათასი ლარი. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შეყვანამ შეადგინა 26 126 ათასი ლარი, გეგმიურ 29 837 ათას ლართან შედარებით.

პროექტების და სამუშაოების დაფინანსების წყარო 2014 წელს იყო საზოგადოების საკუთარი სახსრები. ქვემოთ მოცემულია ინვესტიციების დაფინანსების სტრუქტურა.

№№	მუხლების დასახელება	გეგმა	ფაქტი	(ათასი ლარი)	
				გადახრა (+/-)	%
1	2	3	4	5	6
1	საკუთარი წყაროები	27 316	30 814	3 497	113
	მათ შორის:				
1.1	ამორტიზაცია	13 545	11 267	-2 279	83
1.2	გასული პერიოდების მოგება	6 378	13 024	6 646	204
1.3	სხვა საკუთარი წყაროები	7 393	6 523	-870	88
	სულ	27 316	30 814	3 497	113



VIII. საქმიანობა შესყიდვების დარგში

საზოგადოების საქმიანობა შესყიდვების დარგში ხორციელდება შემდეგის საფუძველზე:

- დებულება სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ, დამტკიცებულია სს „თელასის“ 29.05.2014წ. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი №121;
- სს „თელასის“ შწკპ-ს ფორმირების, კორექტირების და კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი, დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 21.08.2014წ. №339 ბრძანებით;
- სს „თელასის“ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაობის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი, დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 11.06.2013წ. №142 ბრძანებით.

2014 წელს ჩატარდა 244 კონკურსი და რეგლამენტირებული არასაკონკურსო შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვაზე ფაქტობრივი დანახარჯების საერთო მოცულობამ შეადგინა 29,311 ათასი ლარი. მათ შორის 23,547 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 80.33%) შეადგინა დანახარჯებმა საკონკურსო შესყიდვებზე და 5,764 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 19.67%) შეადგინა დანახარჯებმა რეგლამენტირებულ არასაკონკურსო შესყიდვებზე.


2014 წლის რეგლამენტირებული შესყიდვების სტრუქტურა საქმიანობის სახეობების მიხედვით

№	საქმიანობის სახეობა	შესყიდვების ჯამური ღირებულება (ათასი ლარი დღგ-ის გარეშე)	შესყიდვების რაოდენობა	% შესყიდვების საერთო თანხიდან
1	2	3	4	5
1	რემონტი	2,293	20	7.82
2	ექსპლუატაცია	1,702	11	5.81
3	ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები	1,520	10	5.19
4	დაცვა	886	3	3.02
5	სტ-შესყიდვები	1,049	13	3.58
6	საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება	152	3	0.52
7	აუდიტი და შეფასება	69	2	0.23
8	დაზღვევა	1,768	3	6.03
9	ხარჯები პერსონალზე	33	1	0.11
10	რეკლამა და მარკეტინგი			



11	სხვა შესყიდვები საოპერაციო საქმიანობის მიხედვით	496	6	1.69
12	ტექნადარაღება და რეკონსტრუქცია	7,843	22	26.76
13	ახალი მშენებლობა და გაფართოება	8,926	120	30.45
14	სხვა კაპიტალური ხასიათის სამუშაოები და მოწოდებები	2,575	30	8.79
სულ:		29,311	244	100

2014 წლის რეგლამენტირებული შესყიდვების სტრუქტურა საქმიანობის სახეობების მიხედვით



IX. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა.

სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობაა მოხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება და ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. სავარაუდო რისკები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე შემდეგია:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ტარიფების დაუსაბუთებელი სახელმწიფო რეგულირების რისკი და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ის) მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცების შესაძლებლობასთან, რომლებიც არ დაფარავს საზოგადოების დანახარჯებს. კომპანიაში მიმდინარეობს გეგმიური მუშაობა სემეკ-თან მოცემული რისკის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყნისა და რეგიონალურ რისკებს მიეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. საანგარიშო პერიოდში ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, არ ჰქონია ადგილი. ბოლო წლებში ქ. თბილისის და მთლიანად სახელმწიფოს სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით, საზოგადოება არ ექვემდებარება რაიმე მნიშვნელოვან ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად, პოზიტიურია.

რეგიონში არ არსებობს შესაძლო სამხედრო კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის შემოღებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

რეგიონის გეოგრაფიულ თავისებურებებთან დაკავშირებული რისკები შეფასებულია, როგორც უმნიშვნელო, სტიქიური უბედურებების გაზრდილი საფრთხე არ არსებობს. ამ რისკების შესამცირებლად მიმდინარეობს ენერგეტიკული კომპლექსის მუდმივი შემოწმებები, ხორციელდება ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების შედეგებისაგან დაცვის ორგანიზება.

ფინანსური რისკები. საზოგადოება თავისი საქმიანობის პროცესში ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენის, პროცენტული განაკვეთების ცვლილების, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ჩათვლით.

- ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს ქართული ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში გამოხატულ შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით. საზოგადოება არ ახორციელებს სავალუტო რისკისადმი კომპანიის დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:



თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	1.6400	1.7819
თებერვალი	1.6400	1.7495
მარტი	1.6400	1.7477
აპრილი	1.6400	1.7709
მაისი	1.6400	1.7719
ივნისი	1.6400	1.7691
ივლისი	1.6400	1.7418
აგვისტო	1.6400	1.7360
სექტემბერი	1.6400	1.7524
ოქტომბერი	1.6300	1.7544
ნოემბერი	1.6300	1.8368
დეკემბერი	1.6300	1.8636

- საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო პროცენტული განაკვეთის ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება განაკვეთის ცვლილების რისკს, გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის შედეგად.

- საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მომავალში საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

- გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკი. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე, არის სს „თელასის“ მიერ გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე საკუთარი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო, სავალუტო და საბაზო კანონმდებლობის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ცვლილება უახლოეს მომავალში ნაკლებად არის მოსალოდნელი.

მოსახლეობის გადახდისუნარიანობა. ბოლო წლებში წარმოების ზრდის ტენდენცია და უმუშევრობის დონის შემცირება დადებითად აისახა საერთო ფულადი მასის ზრდაზე.

საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები: საზოგადოების შემოსავალი ექვემდებარება სეზონურ მერყეობას (სეზონურად იცვლება სასარგებლო გაშვება). აღნიშნულის შედეგად არსებობს საკასო მნიშვნელოვანი გარღვევების რისკი 1-ელ და მე-4 კვარტალში. საზოგადოება არ ახორციელებს სეზონური რისკების ჰეჯირებას.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და ქ. თბილისის ადმინისტრაციასთან კონსტრუქციული ურთიერთობები, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ენერჯის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობა, დანახარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას საშუალებას აძლევს განახორციელოს საკუთარი საქმიანობა ელექტროენერგეტიკის მიმართ წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

X. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების მე-6 მუხლის მე-6.3 პუნქტის 3) ქვეპუნქტის შესაბამისად, აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2011-2013წ.წ. განმავლობაში საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით დივიდენდების გადახდა არ განხორციელებულა.


XI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულება 1 (ერთი) ლარი თითოეული აქცია. სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა 2014 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

ფასიანი ქაღალდების კლასი	ბენეფიციარი-მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების ფლობის სახეობა	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა
1	2	3	4
ჩვეულებრივი აქცია	«Silk Road Holdings B.V.» – ნიდერლანდი	84 443 957 აქცია საერთო თანხით 84 443 957.00 ლარი	75.108
ჩვეულებრივი აქცია	სს „საპარტნიორო ფონდი“ (საკუთრების უფლებით), „ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო“ (მართვის უფლებით) - საქართველო	27 577 837 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი	24.529
ჩვეულებრივი აქცია	დანარჩენი აქციონერები	407 624 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი	0.363
სულ		112 429 418 აქცია	100



სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



XII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილების (09.06.2014წ. ოქმი) თანახმად საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ:

ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დაბადების წელი: 1969

სამუშაო ადგილი: ღსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.03.2013 წ.

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დაბადების წელი: 1944

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორის მრჩეველი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 15.12.1998წ.

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%



სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2014

პახომოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი:1973

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით:გამგეობის წევრი - სამართლებრივი მუშაობის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული:28.06.2013

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

ოკლეი პაველ ივანეს ძე- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი:1970

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით:გამგეობის წევრი - საწარმოო საქმიანობის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული:06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

ჯორბენაძე ვახტანგ სამსონის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი:1976

სამუშაო ადგილი: სს„საპარტნიორო ფონდი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით:სს „საპარტნიორი ფონდის“ იურისტი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული:26.12.2013

მირსიაპოვი ილნარ ილბატირის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1982

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით:გამგეობის წევრი - სტრატეგიის და ინვესტიციების ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 09.06.2014

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში 2014 წლის განმავლობაში ასევე შედიოდნენ:

პალუნინი დიმიტრი ნიკოლაის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი:1969

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით:გამგეობის წევრი- ფინანსურ-ეკონომიკური ცენტრის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული:06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%



XIII. საზოგადოების გენერალური დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი № 94, 2013 წლის 28 მარტი) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი.

კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი

დაბადების წელი: 1972

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

პირველად იქნა დამტკიცებული გენერალური დირექტორის

თანამდებობაზე: 01.04.2013

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

XIV. 2014 წ. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება 2009წ. 11 მარტს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციების გადახდის შესახებ დებულების საფუძველზე.

2014 წლის შედეგების მიხედვით ანაზღაურებამ შეადგინა:

№№	გვარი, სახელი, მამის სახელი	2014 წელს გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობა (ლარი)
1	ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე	7 977
2	ოკლეი პაველ ივანეს ძე	5 324
3	მირსიაპოვი ილნარ ილბატირის ძე	2 015
4	პახომოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე	4 974
5	ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე	5 982
6	ჯორბენაძე ვახტანგ სამსონის ძე	4 316
7	პალუნინი დიმიტრი ნიკოლაის ძე	2 956
	სულ:	33 544



სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციების გადახდის შესახებ დებულება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის ანაზღაურების გადახდას, სხდომის ჩატარების ფორმისგან დამოუკიდებლად, აგრეთვე დამატებითი ანაზღაურების გადახდას აქციონერთა საერთო კრების მიერ ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

XV. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, მისი ცალკეული ქვედანაყოფების, საზოგადოების მართვის ორგანოების და საზოგადოების აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამდებობის პირთა რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

2014 წელს საზოგადოებაში შიდა კონტროლი ხორციელდებოდა საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დაცვის სამმართველოს მიერ.

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დაცვის სამმართველო ახორციელებს ყოველდღიურ შიდა კონტროლს, რაც მოიცავს:

- საწარმოს აქტივების დაცულობის კონტროლს;
- რესურსების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის კონტროლს;
- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პროცესის კონტროლს;
- წარმოების, პროდუქციის გაყიდვის პროცესის კონტროლს;
- საზოგადოების გარე და შიდა გარემოს მონიტორინგს, უსაფრთხოების მიმართ წარმოქმნილი საფრთხის გამოვლენის თვალსაზრისით;
- სხვა მიმართულებებს, საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

ამგვარად, შიდა კონტროლის სისტემა ფინანსური და ოპერაციული რისკების, აგრეთვე თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ოპერატიული გამოვლენის, აღკვეთის და შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

შიდა კონტროლი ხელს უწყობს საზოგადოების ხარჯების გეგმაზომიერ შემცირებას და მისი რესურსების ეფექტურ მართვას.



XVI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, გარდა ამისა, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, მუშაკთა შრომის დაცვის საკითხები.

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს, მიმართულია საზოგადოების წინაშე დასახული ძირითადი მიზნების მიღწევასა და მის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტაზე და ხორციელდება შემდეგის საშუალებით:


- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების დასწავლების მომზადების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „თელასის“ მუშაკთა რაოდენობა, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 2082 ადამიანს. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, პერსონალის რიცხოვნობა შემცირდა 7%, საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად. 2014 წელს საზოგადოებაში დაითხოვეს 64 ადამიანი, სამუშაოდ მიღებული იქნა 69 ადამიანი, მათ შორის 20 - ალდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი დროებითი თანამშრომლის გათვალისწინების გარეშე, რომელიც გადაყვანილ იქნა შტატში.

მუშაკთა სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით

(ადამიანი)


წელი	ხელმძღვანელები	სპეციალისტები	მოსამსახურეები	მუშები	სულ
2013 год	205	444	338	1089	2076
2014 год	208	510	196	1168	2082



პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით


სს „თელასის“ ასაკობრივი დონე, 31.12.2014 წ. მდგომარეობით შეადგენს: 25 წლამდე- 30 ად., 25-დან 40 წლამდე – 520 ად., 41-დან 50 წლამდე – 644 ად., 51-დან 65 წლამდე – 786 ად., ხოლო 65 წელს ზემოთ – 102 ად.

01.01.2015წ. მდგომარეობით მუშაკთა საშუალო ასაკი შეადგენს 47,9 წ.



მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობა

სს „თელასის“ მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობა, 31.12.2014 წ. მდგომარეობით, შემდეგნაირია: უმაღლესი განათლების მქონე მუშაკები – 1392 ად., საშუალო-სპეციალური განათლებით – 295 ად., ხოლო საშუალო განათლებით - 395 ად.



პერსონალის სწავლება და განვითარება

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკთა უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე მუშაკთა შრომის დაცვის საკითხებს.

პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკების მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების შესაბამისად, უნარების განვითარებაზე კონკრეტული საწარმოო სიტუაციების გადასაჭრელად და ქცევის გამოცდილების გამოსამუშავებლად პროფესიონალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში. მოცემული პროგრამის ძირითადი მიზანია მუშაკების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების, მოვალეობების შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტების ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავების დასამლევად (პროფესიული განვითარება).

2014 წელს საზოგადოების პერსონალის მომზადების, პროფესიული გადამზადების, საკადრო რეზერვის სწავლების პროგრამის საფუძველზე, მუშაკებმა გაიარეს სწავლება შემდეგი მიმართულებების შესაბამისად:

- საზოგადოების მართვის სრულყოფა,
- საზოგადოების სამართლებრივი უზრუნველყოფა,
- საზოგადოების საქმიანობის ეკონომიკური საკითხები,
- ფინანსური საკითხები,
- ბუღალტრული აღრიცხვა და დაბეგვრა,
- საწარმოო საკითხები,
- საინფორმაციო ტექნოლოგიები,
- პერსონალის მართვა.

2014 წლის განმავლობაში სს „თელასში“ სწავლება და გადამზადება გაიარა 516 ადამიანი. მათ შორის სწავლება გაიარეს:

- სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებმა - 35 ადამიანი;
- სპეციალისტებმა – 66 ადამიანი,
- საწარმოო-ტექნიკურმა პერსონალმა - 415 ადამიანი.

საწარმოო პერსონალი მთლიანად დაკომპლექტებულია კვალიფიცირებული კადრებით. პერსონალის სწავლება მიმდინარეობს საქართველოს სასწავლო ცენტრებსა და საკუთარ სასწავლო კაბინეტში.

სოციალური პოლიტიკა

სს „თელასში“ სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის ხორციელდება კოლექტიური შეთანხმების ფორმატში, რომელიც დადებულია საქართველოს მომსახურების სფეროს და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირსა და სს „თელასის“ ადმინისტრაციას შორის.

კოლექტიური შეთანხმება უზრუნველყოფს საზოგადოების მუშაკთა სოციალურ დაცვას, ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს, მუშაკთა ცხოვრების საკმარისი დონის შენარჩუნებას და საზოგადოების ეფექტურ მუშაობას.



XVII. გარემოს დაცვა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „თელასი“ არ მიეკუთვნება ისეთი საწარმოების რიცხვს, რომელთა საქმიანობას შეუძლია ზიანი მიაყენოს გარემოს. აღნიშნულის გამო 2014 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებული ბუნების დაცვის და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.

ამჟამად, საქართველოში გამკაცრებულია კანონმდებლობა ბუნების დაცვის სფეროში და სახელმწიფო ორგანოთა პოზიცია მისი დაცვის თვალსაზრისით. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, შეფასება, ამჟამად, საკმარისი სიზუსტით შეუძლებელია, მაგრამ აღნიშნული შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი ვალდებულებების გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

XVIII. ცნობები გარიგებების შესახებ, რომელთა დადებაში არსებობს დაინტერესება და საანგარიშო წელს საზოგადოების მიერ განხორციელებული მსხვილი გარიგებების შესახებ

2014 წელს საზოგადოებას არ დაუდია გარიგებები, რომლებშიც არსებობდა დაინტერესება:

2014 წელს საზოგადოებას მსხვილი გარიგებები არ დაუდია.

XIX. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ

ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების წმინდა აქტივების და საწესდებო კაპიტალის ღირებულების ცვლილების დინამიკას 2011-2013 წლებში, საანგარიშო 2014 წლის ჩათვლით.

	<i>ათასი ლარი</i>			
	2011	2012	2013	2014
საწესდებო კაპიტალი	81 148	112 429	112 429	112 429
წმინდა აქტივები	42 566	124 552	86 669	114 580

საზოგადოების წმინდა აქტივებთან მიმართებით 2011წ. საწესდებო კაპიტალის მეტობის მიზეზია საზოგადოებისათვის კომპანია Silk Road Holdings B.V.-ის მიერ გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტები. 2013 წელს საწესდებო კაპიტალის მეტობა წმინდა აქტივებთან მიმართებით განპირობებულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურებით 2013 წლის 6 თვის განმავლობაში 64 270 ათასი ლარის ოდენობით. საზოგადოება ყველა ზომას მიმართავს საზოგადოების წმინდა აქტივების ღირებულების მოსაყვანად მისი საწესდებო კაპიტალის სიდიდესთან, მოგების გაზრდის ხარჯზე, რის შედეგადაც 2014 წლის წმინდა აქტივები 2 151 ათასი ლარით აღემატება საწესდებო კაპიტალის დონეს.



XX. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის

სს „თელასის“ იურიდიული მისამართი:

სს „თელასი“, 0154, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

სს „თელასის“ საფოსტო მისამართი:

სს „თელასი“, 0154, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

E-mail: inform@telasi.ge

მისამართი ინტერნეტის ქსელში:

<http://www.telasi.ge>

ს/კ:202052580

ს/ანგარიში:სს “თიბისი ბანკი” TBCBGE22,

ს/ა GE11 TB11 000 000 174 675 64

საკონტაქტო პირები:

მილაშვილი

მაგდალინა

შოთას ას.

E-mail: lina.milashvili@telasi.ge

ტელ: +995 32 277-99-99

საზოგადოების რეესტრის მწარმოებელი

საზოგადოების ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრის მწარმოებელია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ - ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, ლიცენზია №70-0006 გაცემულია 2000 წლის 26 იანვარს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება ხორციელდება 2014 წლის 1 აპრილის №სრ-394/515 ხელშეკრულების თანახმად.

მისამართი:საქართველო, 0162, თბილისი,ჭავჭავაძის გამზ. №74ა.(მოსაშვილის №11)

ტელ.: (99532) 22-53-51, 25-15-60

ფაქსი: (8832) 25-15-60

საზოგადოების აუდიტორი

საზოგადოების აუდიტორია კომპანია **EYGeorgiaLLC**.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის№96 დადგენილების თანახმად კომპანიას მიეცა აუდიტორული მომსახურების გაწევს უფლება.

აუდიტორული მომსახურების გაწევა ხორციელდებოდა 2014 წლის 8 ივლისის №JSCTelasi/Audit/2014 ხელშეკრულების შესაბამისად.

მისამართი:საქართველო, თბილისი,0105, კოტე აფხაზის ქ. №44

ტელ.: (99532) 215 88 11

ფაქსი: (99532) 215 88 22



XXI. ინფორმაცია 2014 წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებათა შესრულების შესახებ

საკითხის ფორმულირება	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება	ინფორმაცია გადაწყვეტილების შესრულების შესახებ
ოქმი №88, 16 იანვარი 2013 წელი		
<p>საკითხი 3. საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ: სს „თელასის“ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შენუშავება, დანერგვა და სერტიფიკაცია, ISO 14001:2004 შესაბამისად.</p>	<p>1. განისაზღვროს, რომ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შემუშავება, დანერგვა და სერტიფიკაცია ISO 14001:2004 შესაბამისად საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა.</p> <p>2. სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს დაევალოს:</p> <p>2.1. 31.12.2014 წ.-მდე ვადაში შეიმუშაოს და საზოგადოებაში დანერგოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა ISO 14001:2004 შესაბამისად;</p> <p>1. 31.12.2015 წ.-მდე ვადაში უზრუნველყოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაცია ISO 14001:2004-სთან შესაბამისობაზე.</p>	<p>დავალების პ. 2.1. შესრულებულია (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №126 24.10.2014წ.)</p> <p>პ.2.2. მიხედვით შესრულების ვადა არ დამდგარა</p>
ოქმი №113 07 თებერვალი 2014 წელი		
<p>საკითხი 2. საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ: საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადების და ჩატარების გრაფიკის დამტკიცება.</p>	<p>2. საზოგადოების გენერალურ დირექტორს დაევალოს 2013 წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებისა და ჩატარების გრაფიკით დადგენილ ვადებში კრების მოწვევისა და ჩატარების უზრუნველყოფა.</p>	<p>შესრულებულია (სს ოქმი №115 06.03.2014წ., სს ოქმი №119 30.04.2014 წ., აწსკ ოქმი 09.06.2014წ.)</p>
ოქმი №116 28 მარტი 2014 წელი		
<p>საკითხი 4. სს „თელასის“ 2014 წლის არაპროფილური აქტივების რეესტრის დამტკიცება</p>	<p>2. სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს დაევალოს სს „თელასის“ 2014 წ. არაპროფილური აქტივების რეესტრის საბოლოოდ დაამუშავება :</p> <p>2.1. მოამზადოს სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების ფლობასთან დაკავშირებული რისკების ანალიზი (სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ქონებრივი, ფინანსურ-ეკონომიკური, უბედური შემთხვევის შედეგად ზარალის ანაზღაურების რისკები და სხვა);</p> <p>2.2. წარმოადგინოს წინადადებები არაპროფილური აქტივების განკარგვასთან</p>	<p>შესრულებულია (სს ოქმი №119 30.04.2014წ.)</p>



	<p>დაკავშირებით მათი ადგილმდებარეობის, ფაქტობრივი ღირებულების, მიმდინარე დანიშნულების და გამოყენების, სამართლებრივი რეჟიმის, აქტივების ფლობაზე დანახარჯების და მათ განკარგვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით;</p> <p>2.3. განმეორებით გაიტანოს სს „თელასის“ 2014 წლის არაპროფილური აქტივების რეესტრი სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად.</p> <p>ვადა – 30.04.2014.</p>	
<p>ოქმი №119 30 აპრილი 2014 წელი</p>		
<p>საკითხი 5. საზოგადოების აქციონერთა რიგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ საზოგადოების აქციონერების შეტყობინების წესის განსაზღვრა.</p>	<p>3. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს (ს.ნ. კობცევს) უზრუნველყოს სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო ჩატარების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად.</p>	<p>შესრულებულია (შეტყობინება გამოქვეყნდა 08.05.2014წ.)</p>
<p>ოქმი №128 18 დეკემბერი 2014 წელი</p>		
<p>საკითხი №2: სს „თელასის“ კრიტიკული რისკების რუკის და 2015 წ. კრიტიკული რისკების მართვის ღონისძიებების გეგმის დამტკიცება</p>	<p>3. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს 30.01.2015წ-მდე ვადაში დეტალურად დაამუშაოს სასარგებლო გაშვების შემცირების რისკის მართვის ღონისძიებების გეგმა და წარმოადგინოს სს მიერ განსახილველად შაკდარმბ შეთანხმებული პოზიცია.</p>	<p>შესრულებულია სს ოქმი №131 05.02.2015წ. დამტკიცებულია სს „თელასის“ 2015 წლის კრიტიკული რისკების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების კორექტირებული გეგმა</p>

